



საია ეხმაურება მთავრობისთვის ძირითადი უფლებების შემღუდვის უფლებამოსილების 2021 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებას



საია ეხმაურება მთავრობისთვის ძირითადი უფლებების შემღუდვის უფლებამოსილების 2021 წლის 1 იანვრამდე გაგრძელებას

საია უარყოფითად აფასებს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება 2021 წლის 1 იანვრამდე, შემღუდოს უფლებები კანონქვემდებარე აქტებით.

14 ივლისს საქართველოს პარლამენტს წარედგინა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრების - დიმიტრი ხუნდაძის, ილია ნაკაშიძის, ვლადიმერ ვახაძის, ზურაბ ხაჩიძის, კობანაკაძის და დიმიტრი მხეიძის საკანონმდებლო ინიციატივა (N07-3/450) [\[საქართველოს პარლამენტის საიტი\]](#) კანონში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას 15 ივლისის შემდეგაც შეეძლება შესაბამისი ღონისძიებების გატარება პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიგვაჩნია, რომ მართალია, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შესაბამისი რეგულაციების მიღება ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა საქართველოს მთავრობისთვის კანონპროექტში აღნიშნული უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების გადაცემა არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის სტანდარტს და ზემოაღნიშნული შეზღუდვები უნდა მოხდეს მხოლოდ კანონის შესაბამისად.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია მიმოსვლის თავისუფლებისა და საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის პირდაპირ მოითხოვს, რომ აღნიშნული მოხდეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო შრომის უფლების შეზღუდვა კი დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით. როგორც საქართველოს კონსტიტუციით დაწესებული უფლების შეზღუდვის ბღვარი, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სტანდარტი მოითხოვს, რომ უფლების შეზღუდვა მოხდეს კანონის შესაბამისად, ისეთი იურიდიული დოკუმენტით, რომელიც მიღებულია მაღალი ლეგიტიმაციითა და საზოგადოების ფართო ჩართულობით. ამ შემთხვევაში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ასეთ დოკუმენტს ვერ წარმოადგენს.

საია უარყოფითად აფასებდა, საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ [შემოდებულ რეგულაციებს](#), რომლის გაგრძელებაც მოხდა 2021 წლის 1 იანვრამდე. სწორედ ამიტომ 15 ივლისამდე დაწესებული რეგულაციები [საიამ გაასაჩივრა](#) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც [საქმე არსებითად განსახილველად მიიღო](#).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად.